სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

27/08/2026

MES 8 26 0001107169

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ 25-ე მუხლის და „კოეფიციენტებით რაინჟირების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც 2026 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება“ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 25 აგვისტოს MES 5 26 0001092488 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. აბიტურიენტებმა, რომლებმაც 2026 წელს ერთიანი ეროვნულ გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლება, 2026 წლის 01

სექტემბრიდან 08 სექტემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნდა გაიარონ რეგისტრაცია და წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (დანართი №1) შესაბამის ფაკულტეტზე (დანართი №2).

2. ბრძანების შესრულება დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზაზა ბუაჩიძეს.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს თამარ წერეთელს.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს.
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი